

## ნეკროლოგი OBITUARIES

2022 წელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისთვის მძიმე დანაკლისით დასრულდა. ერთმანეთის მიყოლებით გამოგვაკლდა ილიაუნის პირველი თაობის ორი გამორჩეული მეცნიერი, პროფესორ-ემერეტუსები, შუქია აფრიდონიძე და ზურაბ კიკნაძე.

**შუქია აფრიდონიძემ** უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ენის მეცნიერული აღწერისა და სწავლების, ასევე ქართულ და უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში ქართული ენის პოპულარიზაციის საქმეში; წლების განმავლობაში იგი იკვლევდა საქართველოს ტოპონიმის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ქართული ენის სტილისტიკისა და ფუნქციური გრამატიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს; ქალბატონი შუქია არის არაერთი განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონის შემდგენელი, დარგობრივი ლექსიკონების, ტოპონიმიკური და ტერმინოლოგიური ტექსტური ბაზების შემქმნელი. მან აღზარდა ენათმეცნიერთა თაობები; განუზომელია ქალბატონი შუქიას ღვაწლი უცხოური ქართველოლოგიის განვითარებაში. ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესებულ მკვლევართა უმრავლესობას, თანამედროვე უცხოურ ქართველოლოგიას, დღეს სწორედ შუქია აფრიდონიძის მოწაფეები წარმოადგენენ.

გარდა ფართო პროფესიული კომპეტენციისა, ქალბატონი შუქია გამორჩეული იყო განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისუფლების ძალიან მაღალი ხარისხით. მიუხედავად საბჭოთა პერიოდის სირთულეებისა – 1940 წელს იყო დაბადებული – იგი იზრდებოდა თავისუფლებაში, ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, თედო სახოკიას გარემოცვაში. თედო სახოკიას, როგორც ქალბატონი შუქია ეძახდა, პაპას, პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია ფრანგული ანთროპოლოგიური განათლებით თუ ქართული ფრაზეოლოგიზმების ფართო ეთნოკულტურული კვლევით დაწყებული დამოუკიდებელი

საქართველოსთვის პოლიტიკური ბრძოლით დამთავრებული, არის მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპული ინტელექტუალური ისტორიის ქართული პროექცია.

ყველას გვახსოვს ქალბატონი შუქიას არაჩვეულებრივად საინტერესო მონათხრობი თედო სახოკიასა და მის მეგობრებზე, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის განსაკუთრებულ ქომაგებზე, მათ შორის მარჯორი უორდროქსა და მისი ოჯახის წევრებზე; გვახსოვს სახიფათო ამბები იმის შესახებ, როგორ მაღავედა თედო სახოკია თავის სახლში 1924 წელს ორ სიკვდილმისჯილ აჯანყებულს და როგორ ბეწვზე ეკიდა თავად თედო სახოკიას უსაფრთხოებაც; გვახსოვს ქალბატონი შუქიას მონათხრობი უშიშარ პაპაზე, რომელმაც ჯერ 1892 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებთან ერთად შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის ლიგა, შემდეგ პარიზში გაიპარა, როცა მისი დაპატიმრება გადაწყვიტეს, იმალებოდა ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში ქართველ სტუდენტებთან ერთად და ბოლოს მაინც დაიჭირეს.

აი, ეს ამბები, თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლისა და ფრანგული ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრის პირადი ისტორიები, იყო ქალბატონი შუქიას ბავშვობის ზღაპრები, მისი ჭირი იქა, ლხინი აქა. ეს ისტორიები კვებავდა მის სილალეს, მის თავისუფლებას საბჭოთა პერიოდშიც კი.

**ზურაბ კიკნაძეს** არაერთი ტიტული აქვს: ცნობილი ქართველი მეცნიერი, ასირიოლოგი, სემიტოლოგი, ქართველოლოგი, ბიბლიოლოგი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე, ამასთანავე, მწერალი, მთარგმნელი, ესეისტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ყურნალ „კადმოსის“ დამფუძნებელი და მისი მთავარი რედაქტორი, არაერთი სამეცნიერო თაობის აღმზრდელი.

რთულია ბატონი ზურაბის სამეცნიერო ღვაწლის შეფასება, 50-მდე მონოგრაფიის, 550-ზე მეტი პუბლიკაციისა და თარგმანის მიმოხილვა, კლასიფიკაცია, სულ მცირე, იმის დადგენა, რომელია მისი მთავარი სპეციალობა; ამაში ვერც ბატონი ზურაბის პუბლიკაციების სრული ბიბლიოგრაფია დაგვეხმარება. რაოდენობრივი ან, გნებავთ, თვისებრივი კრიტერიუმებითაც ჭირს რომელიმე მიმართულების გამოჩენა, წინა პლანზე გადმოტანა. ვფიქრობთ, პროფესორ ზურაბ კიკნაძის სპეციალობა ყველაზე ახლოსაა დარგთან, რომელსაც გერმანულ სივრცეში Altphilologie-ს უწოდებენ: მეცნიერება ძველი ენებისა და ლიტერატურების შესახებ.

კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა ზურაბ კიკნაძის სამეცნიერო-საგანმანათლებლო თუ სალიტერატურო-მთარგმნელობით საქმიანო-

ბაში ყველაზე აქტიური პერიოდის გამოყოფა. არ აქვს მნიშვნელობა, როდის, რა სირთულეების ფონზე ან რომელ ასაკში უზღებოდა ბატონ ზურაბს ახალი საქმის დაწყება, ახალი კონტექსტის შექმნა, ის არწივის ძალას მოიკრებდა ხოლმე და ძველი აღმოსავლური, ან ბიბლიური ტრადიციის ქტიტორად, განმახლებლად გვევლინებოდა.

სწორედ ამგვარი შემართებით შექმნა ბატონმა ზურაბმა გასული საუკუნის 90-იან წლებში რელიგიის კვლევების მიმართულებით საგანმანათლებლო-კვლევითი სემინარი, რომელსაც მაშინდელი არასასემინარო თუ არასამეცნიერო კონტექსტისა და წინაპირობების მიუხედავად, არასდროს მოჰკლებია „გულისკმისმყოფელი“ თუ მსმენელი. მოგვიანებით, 2009 წელს ბატონმა ზურაბმა სრულიად ახალი ტიპის სამეცნიერო დისკუსიის სივრცე შექმნა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დააარსა ჟურნალი „კადმოსი“, რომელიც ჰუმანიტარული დარგის ქართული სამეცნიერო ჟურნალებიდან პირველი შევიდა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ნუსხაში.

ჟურნალ „კადმოსის“ რედაქცია

## შუქია აფრიდონიძე (1940-2022)



1973 წლის შემოდგომაზე მე ალბათ შუქიას პირველი უცხოელი მოსწავლე ვიყავი. საქართველოში სამი თვით ჩავედი, რათა ლიტერატურის მუზეუმში მემუშავა და ქართველი და რუსი პოეტების მიმოწერა შემესწავლა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა კატეგორიულად არ მომცა ამის უფლება და მაშინ გადავწყვიტე, გადავსულიყავი უნივერსიტეტის ქართული ენის განყოფილებაზე და ქართული ენის სათანადოდ შესწავლა მეცადა.

მალე საკუთარი იღბლის არ მჯეროდა: შუქია იყო არა მხოლოდ მაღალი კალიბრის ენათმეცნიერი, არამედ უაღრესად ნიჭიერი მასწავლებელი, რომელიც თავის მოსწავლეებს სადოლე ცხენებივით წვრთნიდა. დედამისი, თედო სახოკიას ქალიშვილი, ასევე მზად იყო დაგვმარებოდა და მის სახლში აკრძალული იყო რუსულად ლაპარაკი ან რუსული საუბრის მოსმენა.

შუქიას წყალობით გავეცანი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ვარსკვლავებს და დავიწყე გალაკტიონისა და ვაჟას თარგმნა. მოგვიანებით გადავედი რეზო გაბრიაძის სცენარებზე, შემდეგ კი ოთარ ჭილაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის რომანებზე. ყველა ამ საქმიანობაში შუქია იყო ჩემი შეუფასებელი მრჩეველი და მეგობარი. შემდეგ, როდესაც სასწაულებრივად გაჩნდა დაფინანსება, მე და შუქიამ, თინა მარგალიტაძესთან, აწ გარდაცვლილ არიანე ჭანტურიასთან და ლორენს ბროერსთან ერთად, დავიწყეთ მუშაობა „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე“, რომელმაც უცხოელი ქართველოლოგების დიდი საჭიროება დააკმაყოფილა. შუქია აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩინებული და მცოდნე ლექსიკოლოგი, არამედ საკმაოდ შემწყნარებელი და დიდი ფანტაზიის მქონე, როდესაც საქმე ეხებოდა სასაუბრო ლექსიკას, მათ შორის ტაბუდადებულ სიტყვებს.

შუქიას ბევრი სხვა წარმატებული უცხოელი სტუდენტიც ჰყავდა. მან აღზარდა უცხოელი ქართველოლოგების სამი თუ არა, ორი თაობა მაინც, რომელთაც თავიანთი სამეცნიერო საქმიანობა ქართულ ენას მიუძღვნეს და საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქციეს იგი.

შუქია იყო ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და უანგარო ადამი-

ანი მათ შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. ადამიანი, რომელიც უშურველად უთმობდა სხვებს თავის დროს, პირად სივრცეს, ეხმარებოდა ფინანსურად. მას იმხელა ენერგია ჰქონდა, რომ დარწმუნებული ვიყავით, 100 წლამდე იცოცხლებდა. მისი გარდაცვალება შოკისმომგვრელია ჩემთვის და მაქვს უდიდესი დანაკარგის განცდა როგორც პირადი, ისე პროფესიული თვალსაზრისით.

დონალდ რეიფილდი

I believe that in autumn 1973 I was Shukia's first foreign pupil. I'd come to Georgia for three months to study the correspondence of Russian and Georgian poets in the Literary Museum, but the KGB insisted I was not to see anything, so I decided to switch to the Georgian Language department of the University and try to learn Georgian properly. I couldn't believe my luck: Shukia was not only a first-class linguist, but a very gifted teacher who trained her pupils like race horses. Her mother, the daughter of Tedo Sakhokia was eager to help, primarily by refusing to speak or listen to anything said in Russian in her household. Through Shukia I met various stars of Georgian literature and the arts, and began translating Galaktion and Vazha; later I progressed to Rezo Gabriadze's scripts, to novels by Otar Chiladze and Mikheil Javakhishvili. In all these enterprises Shukia was an invaluable consultant and guide. Finally, when funds magically appeared, Shukia and I, with Tina Margalitadze, the late Ariane Chanturia and Laurence Broers began work on *A Comprehensive Georgian-English Dictionary* which has answered all the desperate needs of foreign students of Georgian. Shukia proved not just a precise and knowledgeable lexicologist, but a tolerant and imaginative participant, when it came to dealing with colloquial, even taboo lexical items.

Shukia had many other successful foreign students: she is responsible for two, if not three generations of Kartvelologists who have made Georgian the centre of their careers and of international attention. She was also one of the most energetic and selfless persons I have ever known, sacrificing her spare time, her funds, her personal space to help others. Her energy was such that nobody thought she could die before she reached 100. Her death comes as a shock and a terrible loss, both personal and professional.

Donald Rayfield

პატივცემულო ქალბატონო ნინო,

დიდი, აუტანელი, გაუსაძლისი ტკივილი მომაცენა პროფესორ შუქია აფრიდონიძის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავმა.

ქალბატონი შუქია ჩემი ქართული ენის მასწავლებელი იყო 1975 წლიდანვე, როდესაც პირველად ვეწვიე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მხოლოდ ქართული ფონემების წარმოთქმას ვახერხებდი და თანაც – ძალიან ცუდად, პირველივე გაკვეთილებიდან ნათელი გახდა ჩემთვის, თუ რა გამორჩეული მასწავლებელი ერგუნებინა ჩემთვის ბედს. მას იმთავითვე ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა სირთულეების წინაშე შეიძლებოდა, აღმოჩენილიყო ქართული ენის შესწავლის მოსურნე უცხოელი; ამდენად, შესაშური მოთმინებითა და სკურპულულობით განმიმარტავდა სირთულეებს, ვიდრე მათ არ დავძლევდი, რათა შემდეგ ახალ მასალაზე გადავსულიყავით.

საქართველოში ჩემი იმ პირველი ვიზიტის შემდეგ, როგორი მოკლე ხნითაც არ უნდა ვწვეოდი თქვენს ქვეყანას, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, ტელეფონით არ შევხმიანებოდი ქალბატონ შუქიას და არ მეთქვა მისთვის, რომ მზად ვიყავი, მეორე დღესვე გამეგრძელებინა ქართული ენის გაკვეთილები. და მიუხედავად იმისა, რომ თავად ქალბატონი შუქია უაღრესად დაკავებული გახლდათ სამეცნიერო კვლევითა თუ აკადემიური მოღვაწეობით სხვადასხვა უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში, ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის უარი, ახალი გაკვეთილი ჩაეტარებინა ჩემთვის.

დროთა განმავლობაში დავმეგობრდით და ერთხელ, ჯერ კიდევ სოციალიზმის ეპოქაში, შევძელი, მომეწვია იტალიაში, სადაც მან შეძლო, უშუალოდ გასცნობოდა დიდი იტალიელი მხატვრებისა და არქიტექტორების შედეგებს. თვალნათლივ ვხედავდი, რა ბედნიერი იყო. თავადაც გამომიტყდა, სულიერად და ინტელექტუალურად დიდად გავმდიდრდი, როდესაც იტალიის მუზეუმებსა და გალერეებში, საერთოდ, ცის ქვეშ იტალიური ხელოვნების საუცხოო ნიმუშები ჩემი თვალით ვიხილეო.

ქალბატონი შუქიას მარადისობაში გადასვლა დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართული ენათმეცნიერებისთვის, საზოგადოდ, ქართველოლოგიისთვის მსოფლიოში. მეც ვერასოდეს დავივიწყებ ჩემს ძვირფას ქალბატონ შუქიას.

პატივისცემით,  
ლუიჯი მაგაროტო



## მოგონებები

როცა 1973 წელს კემბრიჯში სადოქტორო თემაზე მუშაობას შევუდექი, სულ არ მიფიქრნია იმაზე, რომ ჩემი ცხოვრება საბოლოოდ მჭიდროდ დაუკავშირდებოდა კავკასიას. იმ დროს ჩემი თემა გახლდათ ძველი ბერძნული და ძველი სომხური ენების ქვეწყობილი წინადადებების სინტაქსის შედარება-შეპირისპირება. მაგრამ როცა კემბრიჯში სანსკრიტული ენის ყოფილმა პროფესორმა სერ ჰაროლდ ბეილიმ (Sir Harold Bailey), რომელმაც შესაძლო კვლევით საგნად ძველი სომხური პირველად დამისახელა, მითხრა რა: თუ სომხურს ისწავლითო, აუცილებლად ქართულიც უნდა იცოდეთო, ადგა და თაროდან ერთი ქართული წიგნი გადმოიღო ჩემთვის საჩვენებლად, ქართული მშვენიერი შრიფტით დანახვისთანავე მოვიხიბლე. შემდეგი ორი წლის განმავლობაში სანამ დისერტაციისთვის სომხურ მასალას ვაგროვებდი, ქართულისა და სხვა კავკასიური ენების გრამატიკებს უფრო და უფრო მეტი ინტერესით ვეცნობოდი. ამიტომ მოვინდომე ქართული ყველაზე შესაფერ ადგილზე (საქართველოში) მესწავლა, ხოლო იდეის განხორციელების საქმეში დასახმარებლად არნოლდ ჩიქობავას მივმართე. სწორედ მისი და კიდევ სხვათა რჩევის თანახმად დიდი ბრიტანეთის საბჭოს განცხადება წარვუდგინე თხოვნით, რომ საბჭოთა კავშირთან არსებული მათი ხელშეკრულების მიხედვით, 1975-76 აკადემიური წლის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჩემთვის შემოეთავაზებინათ. გადამწყვეტი საბჭოს წევრები კი ინტერვიუს დროს როგორღაც დავარწმუნე იმაში, რომ თბილისში (და არა ერევანში!) უნდა გავეგზავნე. ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილეს არა მხოლოდ ლონდონში არამედ მოსკოვსა და თბილისშიაც, და ამგვარად 1975 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვედი.

ვაკეს სტუდენტალაქში, სადაც დამაბინავეს, მალევე შევხვდი ამერიკელ ქართველოლოგს, დი-ანა ჰოლისკის (Dee Ann Holisky), რომელსაც ვიზა გაუგრძელეს, რადგან წინა წლის სასწავლო პერიოდში ავადმყოფობა გადაეტანა. მასთან ერთად სწავლობდა კიდევ ერთი ამერიკელი ალის ჰარისი (Alice Harris), რომელსაც კემბრიჯში შევხვდი, როცა საქართველოსკენ მიემგზავრებოდა – მეფის კოლეჯში (King's College) ჩემს ხელმძღვანელ ბერნარდ კომრისა (Bernard Comrie) და სერ ჰაროლდ ბეილისთან ერთად ვისადილეთ. თორმეტი თვის შემდეგ როცა ალისი საქართველოდან ამერიკაში ბრუნდებოდა, კემბრიჯში შეჩერდა, რათა საკუთარ ძმას სტუმრებოდა. იმ საღამოს ალისი ბევრს არ ლაპარაკობდა – გუნებაწამხდარი იყო იმის გამო, რომ იგი და დი-ანა ჰოლისკი ბოლო კვირ(ე)ებში ემზადებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მივლინებით წასასვლელად, რათა უდიურ ენაზე ემუშავათ. თურმე ჯერ ოფიციალურად კი მიავლინეს, და მერე, თითქმის

სოფლამდე მისულს, უბრძანეს სასწრაფოდ უკან დაბრუნებულიყვნენ. ასე მორჩა და გათავდა მათი მივლინების ამბავი. რადგან ამ ამბის გამო ალისი გუნებაზე არ იყო, ამიტომ მასთან დიდ ხანს არ დავრჩი. დი-ანა ჰოლისკიძემაც იგივე ამბავი მიაშობ და, ჩემდა ბედად, ბევრი რამ ისეთი მირჩია, რაც მომდევნო თვეებში გამომადგა მისი გამოცდილებიდან. კარგად მახსოვს ერთი რამ, რაც მითხრა დი-ანამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქართულის მასწავლებლად შუქია აფრიდონიძე მყავდა დანიშნული: ბედმა გაგიღიმაო. მალევე მივხვდი, თუ რამდენად სწორი იყო ეს ნათქვამი.

შუქიას იმ დროს თანამდებობა ჰქონდა უნივერსიტეტის ტოპონიმიკურ განყოფილებაში, რომელიც პირველ კორპუსში მდებარეობდა. იმის გამო, რომ საკუთარი ოთახი არ ჰქონდა, საჭირო იყო, რომ მას გაკვეთილებისთვის შესაბამისი ადგილი გამოენახა. ტოპონიმიკის კაბინეტის გვერდით იყო დიდი, საწყობისნაირი, უფანჯრო ოთახი, რომელიც დიდი ყავისფერი ავეჯითა და კარადებით იყო სავსე. შუქიამ პატარა მაგიდა და ორი მაგარი სკამი შემოიტანა. მაგიდას მივუსხედით და ასე დაიწყო ჩვენი გაკვეთილები. კვირაში სამჯერ (ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს) ერთმანეთს შევხვდებოდით და 9-დან 12 საათამდე ვმეცადინებოდით. თუმცა შუქიამ ინგლისური იცოდა, მომდევნო 11 თვის განმავლობაში იშვიათად თუ გამიგია ინგლისური სიტყვები მისი პირიდან – მხოლოდ და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა. ქართულის სტრუქტურა ზერელებდ ვიცოდი, რადგან ინგლისში მანამდე ჰანს ფოგტის გრამატიკა მქონდა გადაკითხული (ღრმად წაკითხული კი არა), და ამიტომ შუქიასნაირი პრაქტიკა იყო ზუსტად ის, რაც მჭირდებოდა. ამას შუქია უცებ მიხვდა და შესაბამისად დაგეგმა თავისი გაკვეთილები.

არ ვიცი, შუქიამ მიიღო თუ არა დამატებითი ხელფასი იმ საათებისთვის, რომლებიც ჩემს სწავლებაში გაატარა. ფაქტი კი ის იყო, რომ ის თავიდანვე თავს მხოლოდ მასწავლებლად კი არ თვლიდა, არამედ მშობლის როლსაც ითავსებდა, და გაკვეთილებისთვის მიძღვნილი ის 9 კვირეული საათი არ ჰყოფნიდა.

მოვიდა დღე, როცა ახალი ჩვეულება შემოიღო: გაკვეთილის შემდეგ ჭავჭავაძის გამზირს გადავჭრიდით და ქუჩაში მდგომარე მოვაჭრისგან ორ პატარა ხაჭაპურს ვიყიდოდით (უფრო სწორად, შუქია ყიდულობდა!), და იქვე ახლოს მდებარე „ჩაის სახლში“ ჩაისთან ერთად მივირთმევდით ხოლმე. მერე მოგვიანებით შუქიამ გადაწყვიტა, რომ ქართული ფილმების ყურება უნდა დამეწყოს – დარწმუნებული ვარ, რომ ეს მე არ მითხოვნიდა. ამიტომ ზოგჯერ გაკვეთილის შემდეგ გამვლელ მანქანას (ტაქსის კი არა!) ხელის დაქნევით გააჩერებდა და მძღოლს ერთ მანეთს (დიახ, მხოლოდ ერთ მანეთს!) მისცემდა ბრძანებითი თხოვნით: ფილმ-სტუდიაში (რომელიც თბილისის ერთ-ერთ გარე-უბანში იმყოფებოდა) მიგვიყვანეთო! მახსოვს, რომ „მარლი



სვანეთისთვის“ იყო ერთ-ერთი ფილმი რომელიც ვნახეთ.

ერთ დღილას შუქია ძალიან აჟიტირებული შემოვარდა სამუშაო კაბინეტში ცნობით, რომ თურმე კიდევ ერთი ინგლისელი ჩამოსულიყო თბილისში. მითხრა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის სახელობის წიგნთსაცავიდან დავით ბარეტი (David Barrett) ჩამოსულა და სასტუმრო „ინტურისტში“ დაბინავებულაო. თუ გინდათ, მასთან სალაპარაკოდ ეხლავე წავიდეთო! მე კი ვუპასუხე: ბოდში-მეთქი, ბატ. დავითს ვიცნობ და კარგი იქნება აქ თბილისში მისი ნახვა, მაგრამ დღევანდელი გაკვეთილის გაცდენა არ მინდა-მეთქი. შუქია გაოცებული შემეკითხა: რას ლაპარაკობთო? მე თუ ინგლისში ყოფნისას გავიგებდი, რომ კიდევ ერთი ქართველი იყო ჩამოსული, იმ წუთშივე მასთან გადავფრინდებოდიო! ნუ, თქვენ ქართველი ბრძანდებით, მე კი არა-მეთქი ვუთხარი, და გაკვეთილი ისევ გავაგრძელეთ. მერე მოგვიანებით შევხვდი დავითს, და მას თამაზ გამყრელიძესთან და სხვებთან შეხვედრები მოვუწყვე.

როცა ვინმესთან საუბარში მრავალ საათს ატარებ, ბუნებრივია, რომ თანამოსაუბრის ინტერესებს იგებ, და არც შუქიას გასძნელება ქართული კულტურისადმი ჩემი ინტერესის გამოცნობა. ჰოდა, აღარ მახსოვს, ჩემი დაბადების დღის თარიღი შუქიას წინასწარ ვუთხარი, თუ ჩემი ავტობიოგრაფიული მონაცემებიდან უბრალოდ გაახსენდა, მაგრამ 1975 წლის შესაბამის თვეში ზუსტად თერთმეტი რიცხვის აღსანიშნავად კონცერტზე დამპატიჟა; ბილეთები უკვე შეძენილი ჰქონდა. როცა ვკითხე: რას ვნახავთ-მეთქი? სუხიშვილ-რამიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლი გამოდისო. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. და უნდა ვაღიარო, რომ ის იყო ყველაზე ამაღელვებელი და დაუვიწყარი დაბადების დღის საღამო, რაც კი ცხოვრებაში განმიცდია! მერე კიდევ ცნობილი ქართველი პიანისტის, ელისო ვირსალაძის, კონცერტისთვისაც ბილეთები მან გვიყიდა, და, სანამ დარბაზში ვისხედით, შემატყობინა, რომ (თუ არ ვცდები) ერთ დროს ვირსალაძესთან ერთად პიანინოზე დაკვრას სწავლობდა.

შუქიასთვის საიდუმლო არ იყო, რომ ოთხივე ქართველური ენა (აღარაფერი რომ ვთქვა კავკასიურ ენებზე საერთოდ) მაინტერესებდა, და ამიტომ როცა ჩათვალა, რომ ჩემი ქართულად მეტყველების უნარი საკმარის დონეს იყო მიღწეული, ერთი დღე შეარჩია ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩემს მისაყვანად, რათა სხვადასხვა ენებზე მომუშავე ენათმეცნიერები გაეცნო. ის დღე განლდათ 1976 წლის 14 იანვარი. მეცნიერებათა აკადემიაში კავკასიური ენების განყოფილების დამაარსებელთან, პროფ. არნოლდ ჩიქობავასთან პირდაპირ მიმიყვანა გასაცნობად. მე იმ დროს ამის თქმას ვერ გავბედავდი, მაგრამ შუ-

ქიამ ბატ. არნოლდს მორიდებულად სთხოვა: ვინაიდან ჯორჯს ისეთი წიგნები სჭირდება, რომლებიც ბუკინისტებშიაც კი ადვილად აღარ იშოვება, ხომ არ შეიძლება რომ ინსტიტუტის გაცვლითი ფონდიდან რამოდენიმე საჩუქრად მიეცესო? ბატონმა არნოლდმა ბრძანება გასცა და იმ დღესვე (მიღების თარიღი ნაჩუქარ წიგნებშივე აღვნიშნე) გადმომცეს ისეთი ტომები, როგორცაა: არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938 წ.); ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური პროზაული ტექსტები 3. ლენტეხური კილო“ (1967 წ.); მ. ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკა 1. უმლაუტის სისტემა სვანურში“ (1969 წ.); და, კიდევ ყველაზე იშვიათი წიგნი, ა. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჯეჯიანის „სვანური პოეზია 1“ (1939 წ.), რომელსაც გამოქვეყნების დღიდან იმ 14 იანვრამდე მართლაც არავის ხელი ალბათ არ მიჰკარებოდა. ამას ვამბობ, რადგან 336-337 გვერდებზე შემორჩენილია ბერიას გვარი!

იმავე ვიზიტის დროს შუქიამ გამაცნო სხვა ენათმეცნიერებიც, მაგ. ინსტიტუტის იმდროინდელი დირექტორი ვლადიმირ ფანჩვიძე, გურამ თოფურია, ვაჟა შენგელაია და (თუ არა იმ დღეს, ცოტა მოგვიანებით) ქეთევან ლომთათიძე, მაია მაჭავარიანი, ირინე ასათიანი, კლარა გაგუა და იზა ჩანტლაძე, რომელიც ერთადერთია, ვისთანაც დღემდე მაქვს კომუნიკაცია...

შუქია ყოველთვის ზრუნავდა, რათა ყველა ჩემი სურვილი თავდაუზოგავად შეესრულებინა. როცა გავიგე, რომ აკაკი შანიძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ალბათ წამომცდა, რომ მასთან შეხვედრა გამიხარდებოდა. მერე ძველი ქართული ენის კათედრის ერთ-ერთ წევრს ეს ამბავი ამცნო, და, აი, 1976 წლის 19 მაისს განყოფილების ერთ-ერთმა ქალბატონმა (მრცხვენია ეხლა იმის თქმა, რომ მისი სახელი და გვარი დამავიწყდა) ბატ. აკაკის ბინაში მიმიყვანა მასთან შესახვედრად, და იმის მერე მომეცა შესაძლებლობა, რომ ბატ. აკაკისთან მიწერ-მოწერა გამეგრძელებინა მის გარდაცვალებამდე, რაც დიდ პატივად მიმაჩნია. ყველა მისი (და არა მხოლოდ მისი) წერილი ჩემს არქივში მაქვს შენახული.

შუქია მუდამ სხვადასხვა რაღაცებით იყო დაკავებული და ერთი საქმიდან სხვა საქმეზე ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე სწრაფად გადახტებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, ამ ჩვეულების გამო მეტ-სახელი შეარქვეს. ერთ დღეს პროფ. ივანე გიგინეიშვილი შემოვიდა უნივერსიტეტის იმ ოთახში, სადაც ვიმყოფებოდი და იკითხა: აბა, სად არის ჩვენი კალიაო? მე ვერ გავიგე ვისზე იყო ლაპარაკი და ვკითხე: „კალიას“ ვის ეძახით-მეთქი? ღიმილით მიპასუხა: ენერგიით სავსე თქვენს მასწავლებელს მოფერებით „კალიას“ ვეძახითო, რადგან ერთ

ადგილზე უმოძრაოდ დგომა უჭირსო.

თავისი მოწაფეების გულისათვის (და არა მხოლოდ ჩემი გულისთვის) შუქია გამუდმებით ღელავდა. თუ სადმე გვიწევდა სიტყვით ან მოხსენებით გამოსვლა, უნდოდა, რომ ლამაზად, უშეცდომოდ, წარმატებით გამოვსულიყავით. დასტურად შემიძლია მოვიყვანო ეს მაგალითი. შემთხვევით ისე მოხდა, რომ მეც თბილისში ვიყავი, როცა ჩემი თანამემამულე დონალდ რეიფილდი (Donald Rayfield) გამოვიდა თავისი წიგნის (Vazha Pshavela. Three Poems, თბილისი, 1981) პრეზენტაციაზე. იმ საღამოს მეც დავესწარი. სანამ დონალდი ტრიბუნიდან ლაპარაკობდა, შევამჩნიე, რომ შუქიას ტუჩები ხმაამოუღებლივ მოძრაობდა; მერვენებოდა, თითქოს თვითონ იმავს ამბობდა, რასაც დონალდი კითხულობდა! როცა 1987 წელს მე აკაკი შანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვედი, კარგად მახსოვს თუ როგორ ნერვიულობდა შუქია – ამის დასტურად ფოტო შემორჩა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მგონი უკვე ყველასთვის ცხადი იქნება თუ რა გულისყურით ეკიდებოდა შუქია ჩემს აკადემიურ ინტერესებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მან ცხოვრებაშიაც ნიშანდობლივი დახმარება გამიწია. როცა გადაწყდა, რომ ზაირა ხიბა და მე ჯვარს ვიწერდით, პირველი გადასაწყვეტი საკითხი იყო, სად ჩატარდებოდა ოფიციალური ცერემონია. თუმცა არც ზაირას და არც მე ამ ამბის დეტალები ეხლა კარგად არ გვახსოვს, რადგან საქმის მოგვარება სხვებს მივანდეთ, ორივენი დარწმუნებულნი ვართ, რომ შუქიაც ჩაერია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. პირველი გეგმის თანახმად, ცერემონია სტუდენტულთან ყველაზე ახლოს მდებარე ქორწინების სარეგისტრაციო სახლში იოლად ჩატარდებოდა, მაგრამ, იქ გაიგეს თუ არა, რომ ამ პროცესში ინგლისელი ადამიანი მიიღებდა მონაწილეობას, შეეშინდათ და უარი გვითხრეს – ეს ხომ პირველი შემთხვევა იყო, როცა ასეთი რამ საბჭოთა საქართველოში ხდებოდა! მერე მეგობრებმა (უეჭველად შუქიას ჩართულობით) მოაგვარეს საქმე ისე, რომ ბოლოს-და-ბოლოს ცენტრალურ „ქორწინების პალატაში“ 25 ივნისს დავქორწინდით.

1975-76 აკადემიური წლის საქართველოში გატარებული ის 11-ოდე თვე არ შეიძლება, რომ ყველაზე ღირსშესანიშნავ და სამხიარულო პერიოდად არ ჩაითვალოს ჩემს ცხოვრებაში. და შუქია რომ არ ყოფილიყო და არ გეკეთებინა ყველაფერი, რასაც მიკეთებდა, უეჭველია, რომ ეს შთაბეჭდილებები ნიშანდობლივად სხვანაირი იქნებოდა. განუზომელი (შეიძლება ითქვას შეუღარებელი) იყო შუქიას უნარი უცხოელებისთვის ქართული ენის სწავლების საქმეში, მაგრამ ვიმე-

დოვნებ, რომ რაც აღვნიშნე ცხადად გამოხატავს, თუ რამდენი სიკეთე გაუკეთებია მას ჩემთვის. ჩემი მშობლებისთვის გაგზავნილ წერილებში ალბათ ამ სიკეთეზე ისე მხურვალედ ვწერდი, რომ, როცა დეპემით შევატყობინე: ცოლი შევირთე-მეთქი, მცდარი დასკვნა გამოიტანეს – ეგონათ, რომ ცოლად ჩემი მასწავლებელი შევირთე! არადა, მისი ხათრითა და სიყვარულით ჩვენს პირმშოს (უფროს ქალიშვილს) „ამრა შუქია“ დავარქვით.

კიდევ ერთი აკადემიური წელიწადი (1979-80) საქართველოში გავატარე და სხვა დროსაც რამდენჯერმე თბილისს ვეწვიე, მაგრამ ვიტყოდი, რომ 1976-ის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ისეთი იყო როგორც შეიძლება არსებობდეს უფრო მეგობრებს და არა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, თუმცა თავს არასოდეს შეიკავებდა, თუ რაიმე სათქმელი (გინდ კრიტიციზმი, გინდ საყვედური) ჰქონდა ჩემ მიმართ. ეხლა რომ სიტყვა „საყვედური“ ვახსენე, არ შემიძლია დავმალო ის სამწუხარო ფაქტი, რომ ჩვენში განხეთქილება მოახდინა გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 21 ივლისის ნომერში დაბეჭდილმა ჩემმა სტატიამ „ღია წერილი ქართველებს“. ძალიან დასანანია, რომ (ჩემი აზრით) შუქია (როგორც ჩემი ქართველი მკითხველების უმრავლესობაც) ჩემი წერილის ძირეულ მნიშვნელობას ვერ ჩასწვდენია. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან დღემდე არ მესმის, თუ რატომ გამოიწვია ისეთი სკანდალი ჩემმა წერილმა. მაგრამ რა ვქნათ – რაც მოხდა, მოხდა.

შუქია ჩვენთან აღარ არის. საქართველომ დიდი დანაკარგი განიცადა, და მისი გარდაცვალებით გაითიშა ქართულ ენათმეცნიერებაში მბრწყინავი შუქი. ყველაფერი, რაც 1975 წლის სექტემბრიდან 1989 წლის ივლისამდე გამიკეთა, ჩემს ხსოვნაში ბოლომდე დარჩება, და ყოველთვის მადლიერი ვიქნები.

დაე, ამ გამორჩეულ კალიას ჰქონებოდეს ნათელი მდელი მუდმივ მოსასვენებელ ნაკვეთად!

ჯორჯ ჰიუიტი

ჩემმა მეუღლემ და მე დიდი მწუხარებით შევიტყვეთ ამბავი ჩვენი მეგობრის, შუქია აფრიდონიძის შესახებ. ნება გვიბოძეთ, ოჯახის წევრებისა და ახლობელი მეგობრების მიმართ გულითადი სამძიმარი გამოვხატოთ.

შუქია აფრიდონიძე გავიცანი 1974 წელს, საქართველოში ჩემი პირველი ჩამოსვლისას და იმ დროიდან მოყოლებული ახლობელი კოლეგა და ძვირფასი მეგობარი გახდა. ის, ჩემთვის, როგორც უამრავი სხვა უცხოელი ქართველოლოგისთვის, არა მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენის შესანიშნავი და უაღრესად პატივცემული ექსპერტი იყო, არამედ ადამიანი, რომელმაც თბილისსა და ოლდენბურგში თავისი სასაუბრო კულტურითა და სასიამოვნო პიროვნული ხიბლით შეგვაყვარა თავი.

ძალიან დაგვაკლდება მისი ღიმილი და ცოცხალი ურთიერთობა.

დორისი და ვინფრიდ ბოედერები

Dear Nino,

I'm sorry to hear of dear Shukia's passing. She was such a wonderful teacher and person. I have great memories of her.

My daughter has the middle name Shukia in her honor.

In love,

Dee Holisky